



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-87.87211761
თარიღი:25/06/2021

განკარგულება №18

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ახმეტაში ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე 59კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტს, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა)“ ქვეპუნქტის, მე- 4 და მე-5 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების 54-ე, 56-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს, ქ. ახმეტაში ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე 59კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით გადაცემა. (ს/კ 50.04.42.598)
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101).

თამარ ყვინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

